

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

**ოქმი N 4**

ქ. ვანი N 65

15 ივნისი 2021 წელი

12:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები :** კობა ტოხვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, თენგიზ დვალიშვილი, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ეწრებოდა: ტარიელ ბარამიძე,

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

**მოწვეული პირები:** .ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ დირექტორი - ნანა ლილუაშვილი.

*/დანართი N1/*

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - კობა ტოხვაძე (კომისიის თავმჯდომარე)  
კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

**დღის წესრიგი**

1. .ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ ინფორმაციის მოსმენა 2021 წელში გაწეული მუშაობისა და 2021 წლის ტურისტული სეზონისთვის მზადების შესახებ.

მომხს: ნანა ლილუაშვილი

**გადაწყვიტეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოხსენეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნანა ლილუაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ ინფორმაციის მოსმენა 2021 წელში გაწეული მუშაობისა და 2021 წლის ტურისტული სეზონისთვის მზადების შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრ“-მა 2021 წელი „Covid-19“ პანდემიის რეგულაციების შესაბამისად დაგეგმა. სრულად ვითვალისწინებთ საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციებს, თუმცა პანდემიის

შესაძლებლობების ფარგლებში ვცდილობთ შევინარჩუნოთ აქტიურობა და მონაწილეობა მივიღოთ ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში რაც მიმართულია ტურიზმის სწრაფი აღდგენისკენ პოსტ-პანდემიურ პერიოდში.

ისევე როგორც გასულ წლებში მიმდინარე წელსაც ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრს“ დაგეგმილი აქვს შემდეგი ძირითადი ღონისძიებები:

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ იმერეთის რეგიონში (და ბუნებრივია ვანში) ტურიზმის განვითარებაში სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად - კოპიტნარში, „ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის“ არსებობა, რომლის რეაბილიტაციაც სულ რამდენიმე დღის წინ დასრულდა რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. ამ მნიშვნელოვან სიახლეს კი წინ უსწრებდა ძალიან სასიხარულო ფაქტი - საქართველოს ავიაბაზარზე სულ ახლახანს ოპერირება დაიწყო ყაზახურმა დაბალბიუჯეტის ავია-კომპანიამ „Flyarystan“, რამაც შესაძლებლობა მისცა იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO Imereti) მოეწვია პოპულარული ყაზახი ტურ-ოპერატორების, ბლოგერებისა და ავია კომპანია „Flyarystan“, წარმომადგენლები და მოეწყო ინფო ტური იმერეთის მთავარ ტურისტულ ობიექტებზე და სტუმართ-მასპინძლობის ინდუსტრიაში ჩართულ ფიზიკურ პირებთან, ოჯახურ ჰოსტელებთან და მარნებთან. ყაზახური ინფო-ტური ესტუმრა განახლებულ ვანის არქეოლოგიურ მუზეუმს, რაშიც მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ ვანის ტურიზმის ცენტრმა“, ინფო-ტური გაშუქებულ იქნა ყველა პლათფორმაზე როგორც ყაზახეთში ასევე ადგილობრივად, დაიბეჭდა სტატიები ბეჭდურ მედიაში, ასევე გავრცელდა ფოტო და ვიდეო მასალა სოციალურ ქსელებში და დამზადდა ვრცელი სიუჟეტი ყაზახეთის ცენტრალური არხის მიერ, რომელიც გაშუქდა ყაზახურ ტელევიზიაში და შემდეგ გავრცელდა ყველა სოციალურ პლათფორმაზე. პოსტ -პანდემიურ პირობებში, ურთულესი წლის შემდეგ ასე წრაფად დაუბრუნდე მუშაობის ჩვეულ რიტმს არის უდიდესი სტიმული ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართული თითოეული ადამიანისთვის და სამსახურებისთვის...

მიმდინარე წლის 6 ივნისს ა(ა) იპ „ვანის ტურიზმის ცენტრი“-ს ორგანიზებით მოეწყო ინფო ტური მოგზაურთა კლუბ „მთანი მაღალნი“ -სთან ერთად შემდეგი ტურისტული ლოკაციების პოპულარიზაციისთვის: ყოფილი სამთო/ბალნეოლოგიური კურორტი „გადიდი“, „ვანის ანტიკური ნაქალაქარი“ და „დიხაშხოს გოგირდის გეიზერი“, ხოლო 12 ივნისს ვუმასპინძლეთ ერთერთ ყველაზე ცნობილ ბლოგერს გივიკო დიდია “Giviko Didia Official” ვანის ისტორიულ-კულტურული და გასტრონომიული ტურიზმის ინფო ტურის ფარგლებში, ვესტუმრეთ გალაკტიონ და ტიცინ ტაბიძეების სახლ მუიზეუმს სოფელ ჭყვიშში, ხოლო გასტრონომიული ტურის ფარგლებში გვიმასპინძლა „ნინო და გოგი ხურციძეების მარანი“-მ სოფელ სალხინოში.

რაც შეეხება 2021 წლის ბიუჯეტს, ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრი“-ს 2021 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 60 000 ლარით, აქედან 15 ივნისის მდგომარეობით გახარჯულია:

თანამშრომელთა ხელფასები: 17657.02

მივლინება ქვეყნის შიგნით: 387.00 ლარი

საავტომობილო საწვავი: 640.50 ლარი

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება: (კულტურულ და საგამოფენო ღონისძიებებისთვის საჭირო ხარჯები, ფოტოსესია, ტურისტული პროდუქტების განვითარება-ხელშეწყობისთვის,

მარკეტინგისა და ცნობადობის ამაღლებისთვის და სხვადასხვა სახის აუცილებლობით გამოწვეული მომსახურების და ინვენტარის შესყიდვა): 1050 ლარი  
ოფისის ხარჯი: (ინტერნეტი, კომუნალური გადასახადები, სატელეკომუნიკაციო მომსახურებები, ჰიგიენისა და საწმენდი საშუალებები, საკანცელარიო ნივთები): 1499.57 ლარი  
სულ გახარჯულია: 21,234.09 ლარი.

კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი საკითხი და მადლობა გადაუხადეს მომხსენებელს ინფორმაციის მოწოდებისთვის.

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კობა ტოხვაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ  
საქმეთა კომისიის თავმჯდომარე